მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ კარიერული წინსვლის მიზნით წარდგენილი განაცხადისა და განაცხადთან ერთად წარდგენილი ხედვის დოკუმენტის შეფასების რუბრიკა

შეფასების წესი

- განაცხადი და განაცხადთან ერთად წარდგენილი ხედვა ფასდება მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტისა და გასაუბრების საფუძველზე.
- თითოეული კრიტერიუმი ფასდება 0-დან 4 ქულის ჩათვლით. ქულათა ჯამია 20.
- დადებითი შეფასებისთვის წინსვლის მსურველმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 16 ქულა.

კრიტერიუმი	**4 -** სრულად შეესაბამება	**3 -** ძირითადად შეესაბამება	**2 -** ნაწილობრივ შეესაბამება	**1 -** მინიმალურად შეესაბამება	**0 -** არ არის წარმოდგენილი
შერჩეულ მიმართულებასა და მის ფარგლებში არსებული ფუნქციების არსზე მსჯელობა	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი თანმიმდევრულად, სიღრმისეულად და არგუმენტირებულად მსჯელობს სქემის შერჩეული მიმართულებისა და მისი ფუნქციების არსზე. ნათლად განმარტავს, რას გულისხმობს მიმართულება და მისი ფუნქციები სკოლის/სკოლების კონტექსტში და	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი მსჯელობს სქემის შერჩეული მიმართულებისა და მისი ფუნქციების არსზე. განმარტავს მიმართულებისა და ფუნქციების მნიშვნელობას სკოლის/სკოლების კონტექსტში. მოჰყავს პირადი პრაქტიკიდან	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი მსჯელობს სქემის შერჩეული მიმართულებისა და მისი ფუნქციების არსზე, თუმცა მსჯელობა ნაწილობრივ ზოგადი და არასრულია. მიმართულებისა და ფუნქციების მნიშვნელობას სკოლის/სკოლების კონტექსტში	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ფრაგმენტულად მსჯელობს სქემის შერჩეული მიმართულებისა და მისი ფუნქციების შესახებ. ვერ განმარტავს მათ არსსა და მნიშვნელობას სკოლის/სკოლების კონტექსტში. მოყვანილი მაგალითები მწირია ან ძირითადად არ	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ვერ მსჯელობს სქემის შერჩეული მიმართულებისა და მისი ფუნქციების არსზე, ვერ განმარტავს მათ მნიშვნელობას სკოლის/სკოლების კონტექსტში და ვერ მოჰყავს შესაბამისი მაგალითები პირადი პრაქტიკიდან.

	ასაბუთებს მათ მნიშვნელობას. საკუთარ მოსაზრებებს ამყარებს პირადი პრაქტიკიდან მოყვანილი კონკრეტული და რელევანტური მაგალითებით.	შესაბამისი მაგალითები, თუმცა ზოგიერთი მათგანი დამატებით განმარტებას ან დასაბუთებას საჭიროებს.	სათანადოდ ვერ ხსნის. მოჰყავს მაგალითები, თუმცა მათი უმეტესობა საკმარისად კონკრეტული ან რელევანტური არ არის.	უკავშირდება გამოთქმულ მოსაზრებებს.	
მიმართულების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის ამოცანების განსაზღვრა	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი განსაზღვრავს მიმართულების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის ერთმანეთთან დაკავშირებულ,	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ამოცანებს ძირითადად აკავშირებს ერთმანეთთან და მიმართულების ფარგლებში განსახორციელებ	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ამოცანებს ნაწილობრივ აკავშირებს მიმართულების ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობასთან,	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი მიმართულების ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ ამოცანებს მხოლოდ ზოგადად	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/ სპეციალური მასწავლებელი მიმართულების ფარგლებში განსახორციელებელ ი საქმიანობის ამოცანებს არ წარმოადგენს ან წარმოდგენილი

	რელევანტურ და კონკრეტულ ამოცანებს, მსჯელობს თითოეული ამოცანის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე, განსაზღვრავს ამოცანების განხორციელებისთვის საჭირო თანამშრომლობის ფორმებს და საკუთარ მოსაზრებებს ასაბუთებს პირადი პრაქტიკიდან მოყვანილი კონკრეტული და რელევანტური მაგალითებით.	ელ საქმიანობასთან. ამოცანების უმეტესობისთვის განსაზღვრულია, ვისთან თანამშრომლობით განხორციელდება ის, თუმცა ცალკეული მათგანი ნაკლებად კონკრეტულია. ამოცანების საჭიროებასა და ავთენტურობას პირადი პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითებით ასაბუთებს, თუმცა დასაბუთება	მათი ნაწილი ნაკლებად კონკრეტულია ან მათ შორის ლოგიკური კავშირი ნათლად არ ჩანს. მხოლოდ ზოგიერთი ამოცანისთვის განსაზღვრავს, ვისთან ითანამშრომლებს ამოცანის განხორციელების ფარგლებში. ამოცანების საჭიროებისა და ავთენტურობის დასაბუთება ნაწილობრივ არის წარმოდგენილი.	აყალიბებს: წარმოდგენილია ზოგადი ფორმულირებები ან ერთმანეთთან დაუკავშირებელი ღონისძიებების ჩამონათვალი. თანამშრომლობისთვის საჭირო პირებს/ჯგუფებს მხოლოდ ზოგადად ასახელებს. დასახელებული ამოცანების საჭიროება მხოლოდ ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლება, პირადი პრაქტიკიდან კონკრეტული	ამოცანები არ უკავშირდება შერჩეულ მიმართულებას. ვერ ასაბუთებს ამოცანების საჭიროებასა და მნიშვნელობას.

		ყველა ამოცანის შემთხვევაში თანაბრად კონკრეტული არ არის.		მაგალითის მოყვანის გარეშე.	
სამიზნე ჯგუფის ჩართულობის უზრუნველყოფა	დასახული ამოცანები სრულად უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფის ჩართულობას. წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ხსნის, როგორ უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფის მონაწილეობას დაგეგმილ საქმიანობაში და როგორ გამოიყენებს	დასახული ამოცანების უმეტესობა უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფის ჩართულობას, თუმცა ცალკეულ ამოცანაში ჯგუფის როლი სრულად არ ჩანს. წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ხსნის, როგორ უზრუნველყოფს	დასახული ამოცანებიდან მხოლოდ ზოგიერთი ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფის ჩართულობას, ან ჯგუფი ძირითადად ინფორმაციის მიმღების ან ღონისძიებების მონაწილის როლშია. წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ნაწილობრივ ხსნის,	სამიზნე ჯგუფი განსაზღვრულია, თუმცა დასახული ამოცანები მის ჩართულობას არ ითვალისწინებს. წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ვერ ხსნის, როგორ უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფის მონაწილეობას დაგეგმილ საქმიანობაში.	სამიზნე ჯგუფი და მისი ჩართულობა განსაზღვრული არ არის ან არარელევანტურია.

	პირად გამოცდილებას ამ მიმართულებით.	სამიზნე ჯგუფის მონაწილეობას დაგეგმილ საქმიანობაში და როგორ გამოიყენებს პირად გამოცდილებას ამ მიმართულებით, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში მოყვანილი მაგალითი ნაკლებად კონკრეტულია.	როგორ უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფის მონაწილეობას დაგეგმილ საქმიანობაში. ამ მიმართულებით არსებულ პირად გამოცდილებას მხოლოდ ზოგადად ახსენებს.	პირადი გამოცდილება ამ მიმართულებით არ არის წარმოდგენილი.	
გავლენა კოლეგების პროფესიულ განვითარებასა და სკოლაზე/სკოლებზე	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი	კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე, მოსალოდნელ ცვლილებებზე, მათ

	სრულად და თანმიმდევრულად აღწერს, როგორ შეუწყობს ხელს კოლეგების პროფესიულ განვითარებას, რა ცვლილებებს გამოიწვევს დაგეგმილი საქმიანობა მათ პრაქტიკაში, როგორ აისახება ცვლილებები მოსწავლეთა სწავლის შედეგებსა და სკოლის/სკოლების პრაქტიკაზე; რა უზრუნველყოფს მიღწეული ცვლილებების შენარჩუნებასა და განვითარებას.	ძირითადად აღწერს, როგორ შეუწყობს ხელს კოლეგების პროფესიულ განვითარებას, რა ცვლილებებს გამოიწვევს ეს კოლეგების პრაქტიკაში, როგორ აისახება ცვლილებები მოსწავლეთა სწავლის შედეგებსა და სკოლის/სკოლებიs პრაქტიკაზე; როგორ შენარჩუნდება და განვითარდება მიღწეული ცვლილებები. თუმცა, აღნიშნული	ნაწილობრივ აღწერს კოლეგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის გზებსა და მოსალოდნელ ცვლილებებს მათ პრაქტიკაში, თუმცა სრულად ვერ აჩვენებს ამ ცვლილებების გავლენას მოსწავლეთა სწავლის შედეგებსა და სკოლის/სკოლების პრაქტიკაზე. არასაკმარისად არის წარმოდგენილი მიღწეული ცვლილებების შენარჩუნებისა და განვითარების გზები. პირადი	კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე ზოგადად საუბრობს ან მხოლოდ ერთჯერად ღონისძიებებს ასახელებს; ცვლილება კოლეგების პრაქტიკაში მხოლოდ დასახელებულია ან ფოკუსი ძირითადად საკუთარ კლასზეა. გავლენა მოსწავლეებსა და სკოლაზე/სკოლებზე, ისევე როგორც ცვლილებების შენარჩუნების გზები, არ ჩანს. პირადი გამოცდილება ამ	გავლენაზე, მიღწეული ცვლილებების შენარჩუნებასა და განვითარებაზე ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.

	წინსვლის მსურველს პირადი პრაქტიკიდან მოჰყავს მსგავსი მაგალითები.	კომპონენტებიდან ზოგიერთი ნაკლებად კონკრეტულად არის წარმოდგენილი. წინსვლის მსურველს მოჰყავს პირადი პრაქტიკიდან მაგალითები, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში მოყვანილი მაგალითი სრულად არ უკავშირდება აღწერილ გავლენას.	პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითები ზოგადია ან მხოლოდ ნაწილობრივ უკავშირდება აღწერილ გავლენას.	მიმართულებით არ არის წარმოდგენილი.	
მიღწეული შედეგების შეფასება	თითოეული ამოცანისთვის მკაფიოდ არის განსაზღვრული, როგორ შეფასდება	ამოცანების უმეტესობისთვის განსაზღვრულია, როგორ შეფასდება	მხოლოდ ზოგიერთი ამოცანისთვის არის განსაზღვრული, როგორ შეფასდება მიღწეული შედეგი	დასახელებულია ჩატარებული აქტივობები ან ზოგადი მოლოდინები.	შედეგის შეფასების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი.

	მიღწეული შედეგი და როგორ გაიზომება ცვლილება. წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ასახელებს მტკიცებულებების ტიპებს ან/და შეფასების საშუალებებს. მას პირადი პრაქტიკიდან მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ შეაფასა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგი და როგორ	მიღწეული შედეგი და როგორ გაიზომება ცვლილება. წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ასახელებს მტკიცებულებების ტიპებს ან შეფასების საშუალებებს. წინსვლის მსურველს პირადი პრაქტიკიდან მოჰყავს მაგალითი, თუ როგორ შეაფასა მის მიერ განხორციელებუ	ან როგორ გაიზომება ცვლილება. წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ნაწილობრივ ასახელებს მტკიცებულებების ტიპებს ან შეფასების საშუალებებს. პირადი პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითი ზოგადია: ჩანს, რა საქმიანობა განხორციელდა, თუმცა არ ჩანს, როგორ შეფასდა მისი შედეგი.	წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი არ ასახელებს მტკიცებულებების ტიპებს ან შეფასების საშუალებებს ან ისინი არარელევანტურია. პირადი პრაქტიკიდან არ არის მოყვანილი მაგალითი, თუ როგორ შეაფასა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგი.	

	გამოიყენა შეფასების შედეგები შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად.	ლი საქმიანობის შედეგი, თუმცა ნაკლებად ჩანს, როგორ გამოიყენა შეფასების შედეგები შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად.			